ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ N38

გამარტივებული შესყიდვა

(საქართველოს კანონის სახელმწიფო შესყიდვების შესახებ, მე-10[1] მუხლის 3 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის შესაბამისად საქართველოს მთავრობის 2012 წლის 26 სექტემბრის N1805 განკარგულების საფუძველზე)

დაფინანსების წყარო 2021 წლის სახელმწიფო ბიუჯეტი

თბილისი **30 დეკემბერი 2020 წელი**

სსიპ - საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია, (მისამართი: თბილისი, სანაპიროს ქ. N4, ტელ: 2436999, საბანკო რეკვიზიტები: ა.ა. GE24NB0330100200165022 სახელმწიფო ხაზინა, კოდი TRESGE22, საიდენტიფიკაციო კოდი 204578206), შემდგომში წოდებული „შემსყიდველად“, წარმოდგენილი მისი ხელმძღვანელის მოვალეობის შემსრულებლის **მედეა ჯანიაშვილის** სახით და **სს გლობალ ერთი** (საიდენტიფიკაციო კოდი - 201949918 მისამართი: თბილისი, ვაჟა-ფშაველას გამზ. N45, საბანკო რეკვიზიტები: ა.ა. GE60PC0133600100036106, სს პროკრედიტ ბანკი, ბანკის კოდი MIBGGE22) შემდგომში წოდებული „მიმწოდებლად“, წარმოდგენილი მისი გენერალური დირექტორის **გიორგი მაჩიტიძის** სახით, ორივე ერთად წოდებული როგორც „მხარეები“, ვმოქმედებთ, რა საქართველოს კანონმდებლობის, მათ შორის „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას:

1. გამოყენებული ტერმინების განმარტებები

ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

1.1. „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ (შემდგომში - „ხელშეკრულება“) - შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით და ასევე მთელი დოკუმენტაციით, რომლებზეც ხელშეკრულებაში არის მინიშნებები.

1.2. „ხელშეკრულების ღირებულება“ - საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის.

1.3. „დღე“, „კვირა“, „თვე“ - კალენდარული დღე, კვირა, თვე.

1.4. „შემსყიდველი“ - ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს შესყიდვას.

1.5. „მიმწოდებელი“ - პირი, რომელიც ახორციელებს მომსახურების გაწევას ამ ხელშეკრულების ფარგლებში.

1.6. „მომსახურება“ - წინამდებარე ხელშეკრულების მე-2 მუხლით გათვალისწინებული ხელშეკრულების საგანი.

1.7. “ოპერატორი“ - შემსყიდველის მიერ გამოყოფილი პირი.

2. ხელშეკრულების საგანი

ინტერნეტ ტელეფონით (VoIP) საკომუნიკაციო მომსახურების შესყიდვა

(CPV 72400000)

3. ხელშეკრულების ღირებულება

3.1. ხელშეკრულების სავარაუდო ღირებულება შეადგენს: **6 960.00** (ექვსი ათას ცხრაას სამოცი ლარი და 00 თეთრი) **ლარს.**

3.2. ხელშეკრულების ღირებულება მოიცავს, როგორც მომსახურების ღირებულებას, ასევე წინამდებარე ხელშეკრულების შესრულებასთან დაკავშირებით მიმწოდებლის მიერ გაწეულ ყველა ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს.

3.3. წინამდებარე ხელშეკრულების პირობებს, მათ შორის ფასის შეცვლა დაუშვებელი, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისათვის, გარდა, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული პირობების დადგომის შემთხვევაში, დაუშვებელია ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით გაზრდა.

3.4. მომსახურების გაწევის ვადა: მომსახურება უნდა განხორციელდეს ყოველდღიურად, 24 საათის განმავლობაში. მომსახურების გაწევის ვადა 2021 წლის 1 იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით.

4. მხარეთა ვალდებულებები

4.1. **მიმწოდებელი ვალდებულია:**

ა) უზრუნველყოს შემსყიდველი დამოუკიდებელი ინტერნეტ (VoIP) სატელეფონო ხაზის გამოყოფით **დანართი N1** შესაბამისად და შემდეგი ტექნიკური მხარის გათვალისწინებით:

- ინფორმაციის გაცემა და შემომავალი ზარის განხორციელება შემსყიდველისთვის გამოყოფილ ნომერზე 0800-800-909 სატელეფონო ნომერზე უნდა იყოს უფასო;
- 0800-800-909 ნომერზე სააბონენტო მომსახურეობით უზრუნველყოფა;
- ოპერატორების საუბრის ჩანაწერის უზრუნველყოფა სამი თვის პერიოდზე;
- მომსახურების გაწევა ყოველდღიურად 24 საათის განმავლობაში, უწყვეტ რეჟიმში;
- სატელეფონო ნომრებზე ყველა შემომავალი ზარის ჩაწერა სერვერზე და მონიტორინგი.
- 10-15 წამიანი გაფრთხილება ყველა საუბრის წინ. შემოსულ სატელეფონო ნომერზე, დაკავების შემთხვევაში მელოდიის ჩართვა და მოლოდინის რეჟიმზე გადასვლა;
- სატელეფონო ნომერზე ერთდროულად შემომავალი რამოდენიმე ზარის მიღება;
- ზარის გადამისამართება ავტომატურ რეჟიმში, ორშაბათიდან კვირის ჩათვლით.
- შემოსულ ზარებზე რიგის სიგრძის კონტროლი;
- დეტალური საბილინგო ინფორმაცია;

- დროის რეალურ რეჟიმში ზარების მონიტორინგი;
- ყველა შემომავალი ზარის იდენტიფიცირება, თუ რა ნომრიდან იქნა განხორციელებული შემომავალი ზარი, ზარის ხანგრძლივობა, თარიღი და სხვ.

ბ) განიხილოს შემსყიდველის პრეტენზიები და მიაწოდოს მოტივირებული პასუხი ყველა საკითხზე, აგრეთვე დაუყოვნებლივ უზრუნველყოს აღმოჩენილი ხარვეზების გამოსწორება;

გ) განახორციელოს ამ ხელშეკრულებით მასზე დაკისრებული სხვა ვალდებულებები.

4.2. **შემსყიდველი ვალდებულია:**

ა) უზრუნველყოს გაწეული მომსახურების ინსპექტირება და დადებითი შეფასების შემთხვევაში მისი მიღება;

ბ) განახორციელოს ამ ხელშეკრულებით მასზე დაკისრებული სხვა ვალდებულებები.

5. ხარისხი

ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების ხარისხი უნდა შეესაბამებოდეს შემსყიდველის მოთხოვნებს.

6. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

6.1. შემსყიდველის მიერ ხელშეკრულების შესრულების კონტროლი განხორციელდება ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში, შემსყიდველის მოთხოვნათა შესაბამისად.

6.2. **ინსპექტირებას განახორციელებს: სსიპ საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის უკუკავშირის, ანალიზისა და რეაგირების სამმართველოს უფროსი ნანა ჭოხონელიძე ან მისი მოვალეობის შემსრულებელი.**

6.3. შემსყიდველის შესაბამისი წარმომადგენელი (წარმომადგენლები, მოწვეული ექსპერტი) უფლებამოსილია ჩაატაროს ხარისხის კონტროლი და თუ აღმოჩნდება ხარვეზიანი მომასხურება, მიმწოდებელი ვალდებულია შემსყიდველის მიერ წერილობით დადგენილ ვადაში გამოასწოროს ხარვეზი ან თუ ხარვეზის გამოსწორება შეუძლებელია და შემსყიდველს უკვე გადახდილი აქვს მომსახურების ღირებულება, დაუბრუნოს შემსყიდველს აღნიშნული მომსახურების ღირებულება.

6.4. თუ ამ მუხლის 6.3. პუნქტით გათვალისწინებული ხარვეზის გასწორების ვადა სცილდება ხელშეკრულების მოქმედების ვადას, მიმწოდებლის მიერ ხარვეზის გამოსწორება, ხოლო ხარვეზის გამოსწორების შეუძლებლობის შემთხვევაში თანხის დაბრუნება უნდა განხორციელდეს ხელშეკრულების მოქმედების ვადის გასვლამდე.

7. მომსახურების მიღება-ჩაბარების წესი

7.1. მომსახურების მიღება წარმოებს მიღება-ჩაბარების აქტის სახით. მიღება-ჩაბარების აქტი ფორმდება წერილობითი ფორმით, მხარეთა უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელისმოწერით, ინსპექტირების განმახორციელებელი პირის/პირების დადებითი დასკვნის საფუძველზე.

7.2. **მომსახურების მიღებას აწარმოებს**: **სსიპ საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის უკუკავშირის, ანალიზისა და რეაგირების სამმართველოს უფროსი ნანა ჭოხონელიძე ან მისი მოვალეობის შემსრულებელი.**

8. ანგარიშსწორება

8.1. ანგარიშსწორება განხორციელდება შემდეგი პირობებით:

ა) ანგარიშსწორების ვალუტა - ლარი;

ბ) ანგარიშსწორების ფორმა - უნაღდო, წინამდებარე ხელშეკრულებაში მითითებული მიმწოდებლის საბანკო რეკვიზიტების შესაბამისად.

8.2. შემსყიდველი იღებს ვალდებულებას გადაუხადოს მიმწოდებელს მიღებული მომსახურების ღირებულება ეტაპობრივად, მიღება-ჩაბარების აქტების გაფორმებიდან და საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურების (დღგ-ს გადამხდელის შემთხვევაში) წარმოდგენიდან 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში, მაგრამ არაუგვიანეს 2020 წლის 31 დეკემბრისა. თუ კი ანგარიშსწორების განხორციელების ვადის ბოლო დღე ემთხვევა არასამუშაო დღეს, ანგარიშსწორება განხორციელდება მომდევნო სამუშაო დღეს.

9. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

9.1. თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ რაც შეიძლება მოკლე დროში უნდა აცნობოს მეორე მხარეს თავისი გადაწყვეტილება, მიღებული აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით.

9.2. იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის გზით, ხელშეკრულების მე-11 მუხლის შესაბამისად.

10. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

10.1. წინამდებარე ხელშეკრულების 4.1 პუნქტით განსაზღვრული ვალდებულების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულების შემთხვევაში, მიმწოდებელს ეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ღირებულების **0.07%-**ის ოდენობით.

10.2. წინამდებარე ხელშეკრულების 6.3 პუნქტით გათვალისწინებული ხარვეზის აღმოფხვრისათვის შეტყობინებით დადგენილი ვადის გადაცილების შემთხვევაში მიმწოდებელს ეკისრება პირგასამტეხლო ყოველ გადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ღირებულების **0.07%-ის** ოდენობით.

10.3. თუ მიმწოდებელზე დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 10 (ათი) პროცენტს, შემსყიდველი იტოვებს უფლებას შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოსთხოვოს მიმწოდებელს ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტისათვის გადასახდელი პირგასამტეხლოს ანაზღაურება.

10.4. პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

11. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

11.1 ხელშეკრულებაში ცვლილების განხორციელება შესაძლებელია მხარეთა მიერ წერილობითი შეთანხმების საფუძველზე.

11.2 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

12.დავების გადაწყვეტის წესი

12.1 ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეთა შორის წარმოქმნილი უთანხმოება წყდება მოლაპარაკებების გზით.

12.2 თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან **5 (ხუთი)** დღის განმავლობაში შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია მიმართოს საქართველოს სასამართლოს კანონით დადგენილი წესით.

13. ხელშეკრულების შეწყვეტა

13.1 შემსყიდველი მხარე უფლებამოსილია შეწყვიტოს წინამდებარე ხელშეკრულების მოქმედება, თუ მეორე მხარე ვერ უზრუნველყოფს თავისი ვალდებულებების შესრულებას, ან მოქმედი კანონმდებლობით დადგენილ სხვა შემთხვევებში.

13.2ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან.

13.3 ხელშეკრულება აგრეთვე შეიძლება შეწყდეს მხარეთა წერილობითი შეთანხმების საფუძველზე.

14. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის ამ დოკუმენტის თავში მითითებული თარიღიდან და მოქმედებს **2022 წლის 31 იანვრის ჩათვლით.**

15. ფორს-მაჟორი

15.1 წინამდებარე ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა გამოწვეულია ფორს-მაჟორული მდგომარეობით.

15.2 ამ მუხლის მიზნებისათვის ''ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებულნი შემსყიდველის ან/და მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან, და რომლებსაც გააჩნიათ წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნეს ომით ან სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

15.3 მხარემ, რომელსაც შეექმნა ფორს-მაჟორული გარემოება, დაუყოვნებლივ წერილობით უნდა აცნობოს მეორე მხარეს შექმნილი გარემოების და მისი სავარაუდო აღმოფხვრის ვადის შესახებ, წინააღმდეგ შემთხვევაში იგი არ თავისუფლდება ხელშეკრულების პირობების სრული ან ნაწილობრივი შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისგან.

16 სხვა პირობები

ხელშეკრულება შედგენილია ორი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად ქართულ ენაზე. აქედან ერთი გადაეცემა შემსყიდველს, მეორე - მიმწოდებელს.

17 მხარეთა რეკვიზიტები:

შემსყიდველი	**მიმწოდებელი**
სსიპ საქართველოს ტურიზმის	**სს გლობალ ერთი**
ეროვნული ადმინისტრაცია	**მისამართი: თბილისი, ვაჟა-ფშაველას გამზ. N45**
მისამართი: თბილისი, სანაპიროს ქ. N4	**ტელეფონი: 2 43 91 43**
ტელეფონი: 2436999	**საბანკო რეკვიზიტები: სს პროკრედიტ ბანკი**
საბანკო რეკვიზიტები:	**ცენტრალური ფილიალი,**
ა.ა. GE24NB0330100200165022	**ბანკის კოდი MIBGGE22**
სახელმწიფო ხაზინა, კოდი TRESGE22	**ა.ა. GE60PC0133600100036106**
საიდენტიფიკაციო კოდი 204578206	**საიდენტიფიკაციო კოდი 201949918**

ხელმძღვანელის მოვალეობის შემსრულებელი

მედეა ჯანიაშვილი

გენერალური დირექტორი

გიორგი მაჭარიძე

JSC Global Erty

Digitally signed by JSC Global Erty
Date: 2021.01.06 13:22:13 +04'00'

დანართი N1

№	დასახელება		რაოდენობა	ერთეულის ფასი	ფასი
1	ინტერნეტ ტელეფონით (VoIP) სატელეფონო მომსახურება	სატელეფონო ნომრების და არხის სააბონენტო 0800800909	12 თვე	480 ლარი	5 760.00 ლარი
2		შესასყიდი წუთების სავარაუდო რაოდენობა	8 000 წთ	0.15 ლარი	1 200.00 ლარი
				სულ:	6 960.00 ლარი

შემსყიდველი
სსიპ საქართველოს ტურიზმის
ეროვნული ადმინისტრაცია
მისამართი: თბილისი, სანაპიროს ქ. N4
ტელეფონი: 2436999
საბანკო რეკვიზიტები:
ა.ა. GE24NB0330100200165022
სახელმწიფო ხაზინა, კოდი TRESGE22
საიდენტიფიკაციო კოდი 204578206

ხელმძღვანელის მოვალეობის შემსრულებელი

მედეა ჯანიაშვილი

მიმწოდებელი
სს გლობალ ერთი
მისამართი: თბილისი, ვაჟა-ფშაველას გამზ. N45
ტელეფონი: 2 43 91 43
საბანკო რეკვიზიტები: სს პროკრედიტ ბანკი
ცენტრალური ფილიალი,
ბანკის კოდი MIBGGE22
ა.ა. GE60PC0133600100036106
საიდენტიფიკაციო კოდი 201949918

გენერალური დირექტორი

გიორგი მაჩიტიძე

JSC Global Erty

Digitally signed by JSC Global Erty
Date: 2021.01.06 13:24:31 +04'00'

ხელწერილი ინტერესთა კონფლიქტის არარსებობის შესახებ

ვადასტურებთ, რომ „სახელმწიფო შესყიდვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის თანახმად სსიპ-საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის მიერ ინტერნეტ ტელეფონით (VoIP) საკომუნიკაციო მომსახურების შესყიდვის მიზნით გამარტივებული შესყიდვით დადებულ **2020 წლის 30 დეკემბრის N38** ხელშეკრულებაში მითითებულ მიმწოდებელთან ინტერესთა კონფლიქტში არ ვიმყოფებით.

ხელმძღვანელის მოვალეობის შემსრულებელი — მედეა ჯანიაშვილი

ინსპექტირების და მიღება-ჩაბარების განმახორციელებელი პირი — ნანა ჭოხონელიძე